პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 სექტემბერი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 214 (15427)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ-ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ

ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲐᲓ თუ ქალაქად რა სამუშაოც უნდა იყოს, რა საინიციატივო საქმის ფრთაშესხმისა და განხორციელებისათვისაც უნდა იღვწოდნენ და ებრძოლნენ ჩვენი ადამიანები, მათ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში ყოველთვის უდგანან, წინამძღოლად და გონიერ მრჩევლად ყოველთვის ჰყავთ დეპუტატები, მუდმივი კომისიები. ჩვენს საკომპეტენციო სოფლებში და ქალაქებში ახლა დიდი აღმშენებლობითი მუშაობა მიმდინარეობს, საბჭოთა ადამიანები ახალი შემოქმედებითი აღმავლობით, მაღალი პოლიტიკური აქტივობით იღწიან სსრ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

პარტიის, ხალხის დიდი მოღვაწეობით, შრომითა და ამაგით იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამ დიდ შემოქმედებითს შრომაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები — საბჭოები, მათი დეპუტატებისაგან შემდგარი მუდმივი კომისიები.

ყველა სამეურნეო საქმის წარმატებით განხორციელება შ ი დეპუტატებზე, მუდმივ კომისიებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა და დიდი შრომა საბჭოების როლის გაძლიერებისათვის, დეპუტატის, როგორც ხალხის მსახურის უფლება-მოვალეობის ამაღლებისათვის ყოველთვის დადებით და სასურველ შედეგს იძლევა. დეპუტატების მთელი საქმიანობა გადაჯაჭვულია მუდმივ კომისიასთან, რადგან სადეპუტატო მოვალეობას, ამომრჩეველთა განაწყენს ძირითადად იგი მუდმივი კომისიის მეშვეობით ახორციელებს. და რაც უფრო მაღალია დეპუტატის ინიციატივა, მონდომება, ბით უფრო ცხოველყოფელი და შემოქმედებითია მუშაობა ამა თუ იმ უბანზე. მტკიცეა კავშირი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოსა და მშრომელთა ფართო მასებს შორის.

სწორედ ასე ესმით თავიანთი უფლება-მოვალეობანი წითელყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოსთან არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში გაერთიანებულ დეპუტატებს. კომისია მარილაც შემოქმედებითად მუშაობს. მტკიცე გეგმის მიხედვით, სისტემატურად იმართება მისი სხდომები, სადაც განიხილავენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, სანიტარული წესრიგის განმტკიცების და სხვა სადღეისო, აქტუალურ საკითხებს. სხდომებზე საკითხების შესწავლასა და განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, რომლების მიერ წამოყენებული მრავალი საკითხი ზოგჯერ რაისაბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანი გამხდარა.

სიტყვა დეპუტატი წარგზავნილს ნიშნავს. და სწორედ საბჭოთა დეპუტატიც მშრომელი ხალხის მიერ წარგზავნილია ხელისუფლების ორგანოში მთავარი განაწესით — თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით ხელი შეუწყოს კომუნისტური პარტიის დიადი გეგმების განხორციელებას. ეს გეგმები კი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლების, ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერის განმტკიცების, ახალი კომუნისტურ საზოგადოების აშენების დიადი წინასწარდასახულებანია. ამიტომ არის, რომ საბჭოების დეპუტატები მთელი მონდომებით, შემოქმედებითი აღმავლობით იღწიან, შრომობენ, ქმნიან დოვლათს, სათავეში უდგანან მასებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის, საარჩევნო ოლქის მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

წარმოების ნამდვილი ორგანიზატორი და მასების კარგი მეთაურია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალბინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. თოდუა. მისი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ამას წინათ გამართულ სესიაზე, წარმოადგენდა იმის ბჭაფრო მაგალითს, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს, ფიქრობდეს და შრომობდეს დეპუტატი თავისი ამომრჩევლების გაანაწესის განუხრელად შესრულებისათვის, თავისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო და კულტურული ორგანიზაციების მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. დეპუტატი როცა სესიიდან დაბრუნდა, შეხვდა თავის ამომრჩევლებს, ისაუბრა ჯგუფებთან, ცალკეულ ამომრჩევლებთან, მუდმივ კომისიებთან, დეპუტატებთან, გაუზიარა მათ თავისი შთაბეჭდილებები, გეგმები და ფიქრები, ამიტომ არის, რომ ეს დეპუტატი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს ამომრჩეველებში. იგი ყოველთვის ყურადღებით იხმენს ხოლმე გამოცდილი ადამიანების, რიგითი კოლმეურნეების რჩევა-დარიგებას, იკრებს მას პრაქტიკული საქმიანობაში. ყოველივე ეს ხალხის რჩეულს დიდად ეხმარება თავისი სადეპუტატო მოღვაწეობის პირნათლად შესრულებაში.

რესპუბლიკის და ადგილობრივ საბჭოებში დეპუტატებად ბევრია მრეწველობისა და საკოლმეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორი, ნოვატორი, მოწინავე მუშა, რომელთაც ბევრი ჯაფა და ამაგი აქვთ გაწეული სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის უბნებზე, მრავალი მეთვანი თავისი პირადი შრომით, სადეპუტატო მოღვაწეობით სამაგალითოა ყველასათვის. ისინი დღეს ნამდვილ შუქურებს წარმოადგენენ ფართო მშრომელი მასებისათვის. მაგრამ ამასთან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა რიგებში არის ასობით და ათასობით ახალგაზრდა ადამიანი, რომლებიც ხალხმა, ამომრჩევლებმა დიდად დააფასეს, ნდობა გამოუცხადეს და ხელისუფლების ორგანოებში წარგზავნეს. სწორედ მათ პარტიული ორგანიზაციების მრჩევ სჩირდებათ დახმარება, სწავლება, ხალხის მასების გაძღოლის ხელოვნების შეთვისებაში ხელის გამართვა რომ პირნათლად შეასრულონ ამომრჩეველთა ნდობა და ავტორიტეტი ექნეთ მშრომელებში.

ახალგაზრდა დეპუტატებ ი ნ სწავლების, მუშაობის გამოცდილების გაზიარების, მოწინავეთა წახალისების კეთილშობილ ლ ურ მიზანს ისახავდა ახალგაზრდა დეპუტატთა შეკრება-თათბირები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონში გაიმართა.

პარტიის საჩხერის რაიკომის მიერ მოწვეულ ახალგაზრდა დეპუტატთა შეკრებას 350-მდე კაცი დაესწრო. აქ იყვნენ ისინი, ვინც თავდადებით შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებში, საწარ მ ო ებში, დაწესებულებებში, ზრუნავს სოფლის და ქალაქის ეკონომიწყობისათვის, სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. ახალგაზრდა დეპუტატებმა მოიხმინეს საინსტრუქტაჟო მოხსენება მათი უფლება-მოვალეობის შესახებ და ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. ასეთი საინტერესო შეკრებები გაიმართა რუსთავში, ფოთში, მახარაძეში, ზუგდიდში, ორჯონიკიძეში, სამტრედიაში და სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

დეპუტატი ხალხის მსახურია. დეპუტატებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა სახის მუდმივ კომისიებში, თავიანთი ორგანიზატორული მუშაობით დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მშრომელთა სიკეთისათვის, საბჭოების წინაშე პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ამიტომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა უნდა გაუწიონ დეპუტატებს, მუდმივ კომისიებს. ცხადია, პარტიულ ზრუნვასა და ამაგს დეპუტატებმა ამით უნდა უპასუხონ, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის და საზოგაოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, სისტემატურად იზრუნონ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის.

სწორედ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ უნდა შექმნას იმის პირობები, რომ დეპუტატების, მუდმივი კომისიების ინიციატივა, თაოსნობა, ხალხის სიკეთისა და ბედნიერებისათვის მოღვაწეობ ა მუდამ ფრთებს ისხამდეს სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ:

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲩᲐᲠᲮᲔᲒᲘ

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). ყველა მაჩვენებლით შეასრულა რვა თვის სახელმწიფო დავალება კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის (დირექტორი დ. კიკნაძე) კოლექტივმა. ჩარხმშენებლებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში არიან, საწარმოო მაჩვენებლები მაღალი აქვთ.

ქარხნის კოლექტივმა რვა თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 24 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია და მოახდინა 62 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. მომხმარებელს გეგმის ზევით გაეგზავნა 20 სახარატო და 40 სპეციალური ჩარხი.

ქარხნის საწარმოო უბნებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 2 და № 3 საამწყობო საამქროების კოლექტივები, რომელსაც თ. პაიჭაძე და ბ. გუჯაბიძე ხელმძღვანელობენ.

ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲮᲐᲠᲘᲩᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲜᲘᲗ ᲔᲪᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲒᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ცნობა მიიღეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისა და № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივებმა. ხარიხის ნიშანზე წარდგენილ მათს რამდენიმე ნაწარმს სახელმწიფო კომისიამ მაღალი შეფასება მიანიჭა და ხარიხის ნიშანი მიანიჭა.

კომისიის ეს მაღალი შეფასება დაიმსახურეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ორი სახის ნაწარმმა — ქალის ნახევრად კამრონის გარნიტურმა, ნახევრად კამპრონის ლამის პერანგმა და № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის ოთხი სახის ნაწარმმა — ქალის მაღის კოსტიუმებმა და კაბებმა. აღნიშნული ნაწარმი სადა და მოხდენილია და უპასუხებს დღევანდელი მოდის მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში ტრიკოტაჟის არც ერთ სახის ნაწარმს დღემდე ხარიხის ნიშანი არ ჰქონია, ამიტომ აღნიშნული კოლექტივების მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა ქებას იმსახურებს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

თბილისი. რესპუბლიკის საწარმოებში მიმდინარე ხუთწლედში ფართოდ გაიშალა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. № 3 საკვეჯო ფაბრიკის (დირექტორი ნ. ბერიაშვილი) კოლექტივმა ამ მხრივ კარგი ნაბიჯი გადადგა. მიმდინარე წელს აითვისა ახალი სამუშაო

სახალხო კონტროლი მოქმედებაში

მასებთან ერთად, მასების მხარდაჭერით

ბ. კვარაცხელია,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

◆

სახალხო კონტროლიორთა მუშაობა სოფლად განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომლებიც დასახეს სკკპ XXIV ყრილობამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა. ეს არის ყოველდღიური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო საგარეულების, სამელიორაციო სისტემების, ტექნიკის, სასუქების, მსამქონიკატების, სათესლე ფონდების გამოყენებისადმი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მთელი ციკლის დროულად და კვალიფიციურად განხორციელებისადმი.

ამჟამად რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, ხილის, ბოსტნეულის, მუხუმზირას, კარტოფილის და სხვა კულტურების მოსავლის აღება და დამზადება, აგრეთვე მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება. მალე გაჩაღდება ყურძნის და ციტრუსოვანთა ნაყოფის აღება, სამეიოდ ბომ კულტურების თესვა, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება.

სახალხო კონტროლიორებს ამ ამოცანების გადაწყვეტაში უდავოდ შეუძლიათ შეიტანონ ზალური წვლილი. ეს შეიძლება შემდეგი მაგალითით დავადასტუროთ:

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობების კალოებთან, იარაღ-მასქანების პარკებთან, მარცვლეულის აღებისა და დამზადების ადგილებში შეიქმნა 37 დროებითი საგუშაგო. კალოებთან მოეწყო სახალხო კონტროლის სტენდები და „ლენინ“ ფურცლების გამოშვება; მიმდინარე წელს დროებითი საგუშაგოების წევრები კალოებზე და მოსავლის აღების ადგილებში პირველად გამოჩნდნენ წითელი სამკალის ნიშნით — „სახალხო კონტროლიორი“. ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გადამჭრელი ზომები მიიღეს მოსავლის დანაკარგების აღსაკვეთად, გაწეულ სამუშაოთა აღრიცხვის მოსაწესრიგებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ რაიონის სახალხო კონტროლიორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მარცვლის დამზადების გეგმისა და ვალდებულების დიდი გადაჭარბებით შესრულებაში.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა მჭიდროდ დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. ჩვენ არ უნდა შეეურიოდეთ იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ საწარმოებში, და მთლიანად სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგშიც კი, არ სრულდება ახალი ტექნიკის დანერგვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმები. სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში ამვიათი შემთხვევა რომ ხდება, როდა რომელიმე თემაზე დიდი სახელმწიფო სახსრები იხარჯება, ხოლო შემდეგ იჩვენება, რომ იგი არაეკონომიური და არაპერსპექტიულია.

მაგალითად, უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკის მუშაკი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და საფეიერო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს 100 ათასი მანეთი გადაუხადა ისეთი თემების დამუშავებაში, რომელთა გამოყენება შეუძლებელი გახდა. ამავე დროს წლების განმავლობაში გამოუყენებელი რჩება საფეიერო მრეწველობისათვის საჭირო მთელი რიგი ნაშრომები.

სახალხო კონტროლის ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება სამმართველო აპარატის სრულყოფა და გაიაფება. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ზედმეტობას სამტატო განრიგებში, გაუმართლებელ ხარჯებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის საჭმოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შემოწმების პროცესში გამოთავისუფლდა ადმინისტრაციულ-სამართველო აპარატის 763 მუშაკი, რომლებმაც ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ხელფასის სახით მიიღეს 500 ათას მანეთზე მეტი.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შეფრჩევითი შემოწმებით დადგინდა სამივლინებო სახსრების გადახარჯვა, უკანონო მივლინებებზე გაიხარჯა 200 ათასი მანეთი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა მოვიხსენიოთ მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. მოსახლეობის მომსახურების სფეროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ XXIV ყრილობაზე და ჩვენ ამ სიტყვაში მაქსიმალური მონდომება და პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ.

დიდი ამოცანებია დასახული სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე „სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად და გაფლანგვა-დაკაცებათა აღმოსაფხვრელად პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 18 მარტის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 14 მაისის დადგენილებებთან დაკავშირებით.

პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ბევრმა კომიტეტმა და ჯგუფმა გააქტიურა მუშაობა ამ მხრივ. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ სახალხო კონტროლის კომიტეტები ყოველწლიურად ასეულ ათასობით მანეთის დანაკლისებისა და გაფლანგვა-დაკაცების ფაქტებს ავლინებენ.

მაგრამ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში დადგენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მოიჯარეობა და გაფლანგვის ზზით სოციალისტური საკუთრების დაკაცების მრავალი შემთხვევა, მეტყველებს სათანადო სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფის სრულ უმოქმედობაზე.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლა წითელ ზოლად უნდა გასდევდეს ყოველი კომიტეტისა და ჯგუფის, ყოველი სახალხო კონტროლიორის პრაქტიკულ საქმიანობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მათი თავიდან აცილების პირობა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, ამიტომ მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმათ, ვინც პირად ან უწყებრივ ინტერესებს ინტერესებზე მაღლა აყენებს. გარა შეიძლება სახელმწიფო დისციპლინაზე იყოს ლაპარაკი იმ 17 სამშენებლო და სამრეწველო საწარმოში, სადაც სატვირთო ავტოტრანსპორტით შესრულებულ სამუშაოს მიუწერეს ორი მილიონი ტონა-კილომეტრზე მეტი. ამ ფიქციურ შესრულებაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა ჩამოწერილია 240 ათას კილოგრამზე მეტი ბენზინი და სადაზეთო საწვავი, ხელფასის სახით მძღოლებზე გაეცულია 27 ათასი მანეთი. მიწერილია მოცულობისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოებს კლეიტურად ზედმეტად 150 ათასი მანეთი გადაუხადა.

საავტომობილო ტრანსპორტით შესრულებულ სამუშაოთა მიწერების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს სასაქონლო – სატრანსპორტო ზედდებულების გაფორმებისა და გამოყენების წესის სისტემატური დარღვევა; ბევრ საწარმოში მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა, ეს ზელდებულები არ ფორმდება, როგორც მკაცრი ანგარიშგების საბუთები. უმეტეს შემთხვევაში, რომ იგი არაექტიურია და არაპერსპექტიულია.

მაგალითად, უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკის მუშაკი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და საფეიერო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს 100 ათასი მანეთი გადუხადა ისეთი თემების დამუშავებაში, რომელთა გამოყენება შეუძლებელი გახდა. ამავე დროს წლების განმავლობაში გამოუყენებელი რჩება საფეიერო მრეწველობისათვის საჭირო მთელი რიგი ნაშრომები.

სახალხო კონტროლის ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება სამმართველო აპარატის სრულყოფა და გაიაფება. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ზედმეტობას სამტატო განრიგებში, გაუმართლებელ ხარჯებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის საჭმოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შემოწმების პროცესში გამოთავისუფლდა ადმინისტრაციულ-სამართველო აპარატის 763 მუშაკი, რომლებმაც ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ხელფასის სახით მიიღეს 500 ათას მანეთზე მეტი.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შეფრჩევითი შემოწმებით დადგინდა სამივლინებო სახსრების გადახარჯვა, უკანონო მივლინებებზე გაიხარჯა 200 ათასი მანეთი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა მოვიხსენიოთ მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. მოსახლეობის მომსახურების სფეროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ XXIV ყრილობაზე და ჩვენ ამ სიტყვაში მაქსიმალური მონდომება და პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ.

დიდი ამოცანებია დასახული სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე „სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად და გაფლანგვა-დაკაცებათა აღმოსაფხვრელად პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 18 მარტის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 14 მაისის დადგენილებებთან დაკავშირებით.

პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ბევრმა კომიტეტმა და ჯგუფმა გააქტიურა მუშაობა ამ მხრივ. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ სახალხო კონტროლის კომიტეტები ყოველწლიურად ასეულ ათასობით მანეთის დანაკლისებისა და გაფლანგვა-დაკაცების ფაქტებს ავლინებენ.

მაგრამ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში დადგენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მოიჯარეობა და გაფლანგვის ზზით სოციალისტური საკუთრების დაკაცების მრავალი შემთხვევა, მეტყველებს სათანადო სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფის სრულ უმოქმედობაზე.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლა წითელ ზოლად უნდა გასდევდეს ყოველი კომიტეტისა და ჯგუფის, ყოველი სახალხო კონტროლიორის პრაქტიკულ საქმიანობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მათი თავიდან აცილების პირობა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, ამიტომ მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმათ, ვინც პირად ან უწყებრივ ინტერესებს ინტერესებზე მაღლა აყენებს. გარა შეიძლება სახელმწიფო დისციპლინაზე იყოს ლაპარაკი იმ 17 სამშენებლო და სამრეწველო საწარმოში, სადაც სატვირთო ავტოტრანსპორტით შესრულებულ სამუშაოს მიუწერეს ორი მილიონი ტონა-კილომეტრზე მეტი. ამ ფიქციურ შესრულებაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა ჩამოწერილია 240 ათას კილოგრამზე მეტი ბენზინი და სადაზეთო საწვავი, ხელფასის სახით მძღოლებზე გაეცულია 27 ათასი მანეთი. მიწერილი მოცულობისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოებს კლეიტურად ზედმეტად 150 ათასი მანეთი გადაუხადა.

საავტომობილო ტრანსპორტით შესრულებულ სამუშაოთა მიწერების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს სასაქონლო – სატრანსპორტო ზედდებულების გაფორმებისა და გამოყენების წესის სისტემატური დარღვევა; ბევრ საწარმოში მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა, ეს ზელდებულები არ ფორმდება, როგორც მკაცრი ანგარიშგების საბუთები. უმეტეს შემთხვევაში, რომ იგი არაექტიურია და არაპერსპექტიულია.

მაგალითად, უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკის მუშაკი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და საფეიერო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს 100 ათასი მანეთი გადუხადა ისეთი თემების დამუშავებაში, რომელთა გამოყენება შეუძლებელი გახდა. ამავე დროს წლების განმავლობაში გამოუყენებელი რჩება საფეიერო მრეწველობისათვის საჭირო მთელი რიგი ნაშრომები.

სახალხო კონტროლის ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება სამმართველო აპარატის სრულყოფა და გაიაფება. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ზედმეტობას სამტატო განრიგებში, გაუმართლებელ ხარჯებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის საჭმოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შემოწმების პროცესში გამოთავისუფლდა ადმინისტრაციულ-სამართველო აპარატის 763 მუშაკი, რომლებმაც ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ხელფასის სახით მიიღეს 500 ათას მანეთზე მეტი.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შეფრჩევითი შემოწმებით დადგინდა სამივლინებო სახსრების გადახარჯვა, უკანონო მივლინებებზე გაიხარჯა 200 ათასი მანეთი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა მოვიხსენიოთ მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. მოსახლეობის მომსახურების სფეროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ XXIV ყრილობაზე და ჩვენ ამ სიტყვაში მაქსიმალური მონდომება და პრინციპულობა უნდა გამოვიჩინოთ.

დიდი ამოცანებია დასახული სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე „სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად და გაფლანგვა-დაკაცებათა აღმოსაფხვრელად პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 18 მარტის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 14 მაისის დადგენილებებთან დაკავშირებით.

ᲛᲝᲗᲐᲒᲗᲐᲜ ᲯᲘᲓᲘᲡᲒᲐᲜ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

———

გადაწყდა, რომ ალპური საძოვარზე საავტომობილო გზის გაყვანა დაწყებულიყო სოფელ უხუთიდან.

დაიწყო ოცენტისა და ჩანაფიქრის ხარცის შეხსნა. ვანის რაიონის ყველა სოფლის მშრომელნი ფეხზე დადგნენ, კლღოვანი ბორცვები, კლდეები, ვეებერთელა ასწლოვანნი, ორასწლოვანი ხეები ადგილად რიდი ნებდებოდნენ იქ მომუშავე ბულდოზერებს თუ ექსკავატორებს, ტრაქტორისტებს თუ ხელით მომუშავეებს.

პირველად სოფელ უხუთის კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა ბრიგადამ, რომლის წევრები გიორგი ოქრობერაშვილი, კალისტრატე გბერუნია, მიხეილ დიაკონიძე, დავერ და ვოლდემარ რაზმაძეები, ჭიტეკო ხურციძე, ვაჟა და გივი ბიბილაშვილები, რაჟიკო დიაკონიძე, ვაჟა ბაღდავაძე, გივი ბიბილაძე, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ავთანდილ დიაკონიძე და სხვები იყვნენ. გზის გასაყვან ადგილებს თანდათანობით წინასწარ ამოწმებდნენ. ღსინი, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, უფრო გარკვეული იყვნენ ამ მიდამოების საიდუმლოებებში და ამიტომ მიმართულებას უჩვენებდნენ მძლავრ ტექნიკაზე მომუშავეებს. ბრიგადას სათავეში ჩაუდგა ძველი გმოცდილი მუშაკი შოთა რაზმაძე.

მთებისაკენ ნელნელა იჭრებოდა გზა. ბულდოზერისტების ვ. ჩახუნაშვილის, ა. ცხვედიანის, ლ. ლუტიძის, ა. ბურდავაძის, ძმების ნოდარ და გიორგი ჭილიძეების, მ. მეგავანაძის, ლ. ივანიძის, ა. ფანეხალაძის, ვ. ჩიჩაბიძის, ნ. ჯოლაყიძის, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის მ. აბრამიძის და სხვების მიერ ახალი გზის გაჭრასთან ერთად უკან რჩებოდა ამოძირკული ბუმბერაზი ხეები, უზარმაზარი ლოდები. აქვე მათთან ერთად ერეოდნენ ტრაქტორისტები ნ. ბერიძე, ა. ბაბალაშვილი, ბ. ბურციანიძე, ბ. ბაბალაშვილი, ბ. ბურციანიძე, ბ. ბაბალაშვილი, ბ. ბურციანიძე, ბ

ამ ერთ კვირაში

საკრებულის მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ გამოცხადებული მშვიდობის პროგრამის წარმატებით განხორციელებამ შესამჩნევად გაუმჯობესა ვითარება ევროპის კონტინენტზე. როგორც სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ყირიმის შეხვედრაზე დადასტურდა, ახლა შექმნილია ხელშეწყობი პირობები, რათა დაიწყოს პრაქტიკული მომზადება სრულიად ევროპის თათბირისა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გახდეს ევროპაში მტკიცე მშვიდობის შექმნის გზაზე.

ამ დღეებში ჰელსინკში გაიმართა ჩრდილოეთის ქვეყნების — დანიის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ასეთი თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევას. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის მრავალმხრივ მომზადებაში, რაც ნოემბერში უნდა დაიწყოს ფინეთის დედაქალაქში. დღისათვის სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას მხარი დაუჭირა უკვე ევროპის 28 ქვეყანამ, აგრეთვე კანადამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

უკანასკნელ წლებში დიდი მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებანი, რომელნიც, სოციალისტური ქვეყნების აზრით, შეიძლება საფუძველი იყოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პროტოკოლთა მრავალმხრივი გადაჭრისათვის. კერძოდ, მათ განკუთვნებიან სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ და სხვა დოკუმენტები. ყველა ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ საჭიროა ცნონ ევროპის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგად წარმოქმნილი ტერიტორიული და პოლიტიკური რეალობანი. ერთ-ერთი ასეთი რეალობაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის პოზიციის საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო მტკიცდება, რასაც მოწმობენ უკანასკნელ დღეთა ამბებიც.

ეჭვი არ არის, რომ ნორმალური ურთიერთობის დამყარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, იხელე როგორც მისი მიღება (გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ერთად) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელს შეუწყობდა ვითარების შემდგომ სტაბილიზაციასა და მშვიდობის განმტკიცებას ევროპაში.

ბრიტანეთში დამთავრდა ბრიტანეთის ტრედუნიონთა 104-ე ყოველწლიური კონგრესი. მისი დელეგატების ყურადღების ცენტრში იყო საკითხი კოსმოსურ-ატომთა მთავრობის მიერ შემოღებული ანტიმუშური კანონმდებლობის გაუქმებისათვის პროფკავშირთა ბრძოლის შესახებ. ქვეყანაში ფართოვდება უმაყოფილება მმართველი წრეების სოციალური პოლიტიკის გამო, სულ უფრო მწვავდება და ძლიერდება შრომისა და კაპიტალის შეტაკება. ინგლისის მონოპოლიები ფასების მომატებისა და უმუშევრობის გადიდების გზით ცდილობენ მთავრობის მხარდამჭერი მშრომელებს დააკისრონ სავალუტო-საფინანსო კრიზისისა და, დიდი ბრიტანეთისათვის თავმოსწავლილი სხვა ეკონომიურ გაჭირვებათა მთელი სიძნელენი.

ბრიტანეთის კონგრესის ტრიბუნიდან დიდი ბრიტანეთის ტრედუნიონებმა გადაჭრით უარყვეს ანტიმუშური კანონი „მრეწველობაში ურთიერთობის“ შესახებ და მოუწოდეს მშრომელებს დაიწყონ საერთო-ეროვნული კამპანია ხელისუფალთა ამ რეაქციული აქტის გაუქმებისათვის. ხმის უმრავლესობით კონგრესმა მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად ახალ სიძნელეებსა და ჭირვეულობას უქადის რიგით ინგლისელებს. დელეგატებმა დაგაკლეს ბრიტანეთის ეროვნული ეკონომიკა ეროვნულ ინდუსტრიებზე ორიენტაციის პოლიტიკას, „მოთავსებულ ... ...

München-72

გუშინ დამთავრდა XX ოლიმპიადა

საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

ოლიმპიური მწვერვალი დაპყრობილია □ ახალგაზრდები წინ მიდიან □ ცხრა ოქრო □ სასახელოდ „იმუშავეს“ □ ჩემპიონი ბოლოს იცინის □ ვერ დაეწივნენ

ამოდით, და აღიარეთ: თქვენ გჯეროდათ, რომ საბჭოთა სპორტსმენები არ შეირცხვენდნენ თავს მიუნხენის ოლიმპიადაზე, მაგრამ მათს ასეთ ბრწყინვალე გამოსვლას არ მოელოდით. მოპოვებულია 50 უმაღლესი ოლიმპიური ჯილდო (მეორე ადგილზე გასული ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს აქვს 33 ოქროს მედალი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს — 20). ქუჩების გამოთვლის ყველა სისტემით სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი პირველ ადგილზეა.

ტყუილად როდი დაიკარგა ოთხი წელიწადი შედარებითი წარუმატებლობის შემდეგ, რომელიც სსრ კავშირის ნაკრებმა მეხიკოში განიცადა. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით მთავარი ჯერადება დაეთმო გამოვლინებული სუსტ ადგილებს.

ჩვენმა სპორტულმა სპეციალისტებმა ოლიმპიურ ასპარეზობაზე ბრძოლის შედეგების პროგნოზი ზაფხულში გამოთქვეს კონკურენტთა უკანასკნელი გამოსვლების გათვალისწინებით. სპეციალისტები ქარჩილებდნენ, მაგრამ ცხოვრებამ ყველაზე სასიხარულო-მოედებს გადაამეტა.

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ბაიდარითი და კანონი მოსასპარზე ნიჩბოსნები ექვს ოქროს მედალს მოიპოვებდნენ ზვიდ შესაძლებელში. მაგრამ ასე მოხდა! ვლადიმერ ვასინის გამარჯვება ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ასევე ვერ მივაკუნთებინთ მოულოდნელობას. ვალერი ბორზოვს თვითონ სურდა გამხდარიყო ერთ-ერთი პრიზორი მეორე სპრინტერულ დისციპლინაზე, მაგრამ აქაც, როგორც ამ მეტრზე, იგი ფინიშთან პირველი მივიდა.

„ოქროს“ ფონზე არც ისე შესამჩნევია ცალკეული წარუმატებლობანი. მაგრამ ისინი, სამწუხაროდ მაინც იყო. მაგალითად, ფეხბურთში, მართალია, ჩვენმა გუნდმა ბრინჯაოს მედალი მიიღო (ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა), — მათი მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა), მაგრამ მისმა თამაშმა ვერ დაგვაკმაყოფილა. ხელბურთელებს შეეძლოთ ებრძოლათ პირველი ადგილისათვის, მაგრამ ერთადერთი მატჩის წაგებამ ისინი შორს გადაისროლა. რამდენიმე საწყენი „ნოლი“ მიიღეს მწვრთნელთა მიზეზით ჩვენმა ძალოსნებმა. ფრენბურთელები საპატიო კვარცხლბეკის პირველი საფეხურიდან მესამეზე დაეშვნენ, ჩვენი მხოლოდ ორი მოკრივე გავიდა ფინალში...

არასოდეს არ ყოფილა ოლიმპიურ ასპარეზობებზე ასე მწვავე მეტოქეობა. ყველაზე წარმომადგენლობითი ოლიმპიადა (122 ქვეყნის 10,5 ათასი მონაწილე) უწინარეს ყოვლისა ამით შევა სპორტის ისტორიაში. გამარჯვების გარანტიის ხშირად მხოლოდ მსოფლიო რეკორდი იძლეოდა. ზოგჯერ მხოლოდ ელექტრონული ტექნიკა აგლონებდა გამარჯვებულს;

გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა სპორტსმენთა ფსიქოლოგიურმა მომზადებამ. ოლიმპიური ჯილდოების მთავარ პრეტენდენტთა ოსტატობის დონე გათანაბრდა. და მაინც ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, დამოკიდებული იყო სპორტსმენის ნებისყოფაზე, მის უნარზე და სურვილზე, რომ მთელი ძალ-ღონით ებრძოლა.

XX საუკუნის ოლიმპიური ასპარეზობა დაგვამახსოვრდება იმითაც, რომ გაიზარდა რაოდენობა ქვეყნებისა, რომელთა წარმომადგენლებმა დაიკავეს საპატიო კვარცხლბეკი. მარდმა აფრიკელმა მორბენლებმა და შეუპოვარმა, ღონიერმა მოკრივეებმა შეავიწროვეს მრავალი ფავორიტი. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში ყველასათვის მოულოდნელად გამარჯვა ორეულ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი წარმოადგინეს კუბელმა მოკრივეებმა, თავისუფლების კუნძულის „ბრინჯაოს“ რეკორდი კალათბურთელებმა. ეს უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე სხვა გუნდის ნადავლი.

ოლიმპიადაზე უკანასკნელი მძლეოსნური ოქროს მედალი დაიმახსოვა ლენინგრადის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტმა, 24 წლის სიმაღლეზე მხტომელმა „ეარი ტარმაკმ.

...როცა მსაჯებმა ფრთხილად დადეს თამასი 223 სანტიმეტრ სიმაღლეზე, სტადიონს ყომრალი ღრუბლები დაეწვა, ამოვარდა ცივი ქარი. იგი პირდაპირ სახეში სცემდა გადასახტომად მომზადებულ ტარმაკს... მაგრამ სპორტსმენმა მსუბუქად, გატაკუნტით გასროლილივით, „დიდი მარგალი“ გადაუფრინა თამასას.

ამაოდ ცდილობდა ასევე გადამხტარიყო ამერიკელი დუაატ სტოუნსი. არაფერი არ გამოუვიდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რეკორდმენს სტეფან იუნგეს. ისინი 2 სანტიმეტრით „ჩამორჩნენ“. იურიმ აღადგინა საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელების ოლიმპიურ გამარჯვებათა ტრადიცია, რომელიც რომში დაიწყო რობერტ შავლაყაძემ და ტოკიოში განაგრძო ვალერი ბრუმელმა.

ოლიმპიადაის ისტორიაში თავისი სახელი ჩასწერა მსოფლიოს რეკორდმენმა ბადროს ტყორცნაში ერეკვნელმა შაინა მელნიკმა. მეოთხე ცდით მისი ბადრო 66,62 მეტრზე დაეცა, და მსაჯებმა იქ აღმართეს ახალი ოლიმპიური რეკორდის ალამი.

...ვალერი ბორზოვმა 4X100 მეტრ ამანათრბენში ამანათი იური სილოვისაგან. მაშინ მიიღო, როცა უკანასკნელ სწორზე უკვე გარბოდა ამერიკელი ედი ჰარტი, რომელსაც კვალდაკვალ მიპყვებოდნენ პოლონელი და ფრანგი მორბენლები. მაგრამ ფინიშზე იგი მეორე მივიდა ჰარტის შემდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა გაიმეორა მსოფლიო რეკორდი — 38,2 წამი. ჩვენმა მორბენლებმა ალეკსანდრე კორნელიუკმა, ვლადიმერ ლოგვინეცმ, სილოვმა და ბორზოვმა დაამყარეს სსრ კავშირის რეკორდი — 38,5 წამი.

ეროვნული ტურნირის ფინალში „იმუშავეს“, როგორც სპორტსმენები ამბობენ ხოლმე, ჩვენი გუნდის კაპიტანმა ბორის კუზნეცოვმა (წონა 57 კილოგრამამდე) და ვიაჩესლავ ლემეშევმა (75 კილოგრამამდე). კუზნეცოვს ერთობ განთქმული მეტოქე შეხვდა — კენიელი ფილიპ ვარუნგუ. მეკრიკის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი, რომელსაც მაშინ გადაეცა ვალ ბარკერის თასი, როგორც ასპარეზობის საუკეთესო მოკრივეს.

მოკრივეთა დარბაზიდან ყველაზე მეტი ოქროს მედალი — სამი — წაიღეს კუბელმა სპორტსმენებმა: ჩემპიონები გახდნენ ორლანდო მარტინეზი (წონა 54 კილოგრამამდე), ემილიო გორეა (67 კილოგრამამდე) და მძიმე წონის თეოფილო სტივენსონი (მან ამჯერად მიიღო ბარკერის თასი).

თავიანთი წარმატებას კუბელი მოკრივენი, როგორც თვითონ აღიარებენ, უწინარეს ყოვლისა უმადლიან საბჭოთა მწვრთნელს ანტონი ჩერეზონეკოს, რომელმაც მოამზადა ისინი ამ ასპარეზობისათვის. კორეამ საპაჩიო კვარცხლბეკიდან ჩამოსვლის შემდეგ მოიძრო ოქროს მედალი და მწვრთნელს ჩამოკიდა...

ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე უნგრელი ლეშეკ ბედი (48 კილოგრამამდე), ბულგარელი ბიორბე კოსტადინოვი (51 კგ.), პოლონელი იან შერპანსკი (60 კგ.), ამერიკელი რეი სელზი (63,5 კგ.), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი დიტერ კოტჰი (71 კგ.), იუგოსლავი მაჰე პარლოვი (81 კილოგრამამდე).

ჩვენმა კლასიკური სტილით მოჭიდაოვეებმა არცთუ წარმატებით დაიწყეს ოლიმპიური ტურნირი. არ გაუმართლა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ვიქტორ იგუმნოვს: მან ტრავმა მიიღო და იძულებული შეიქმნა მაკურებელი გამხდარიყო, მოულოდნელად სწრაფად გამოთიშნენ ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონნი ვლადიმერ ზუბკოვი და ვიტალი კონსტანტინოვი.

ასევეთმა სტარტმა დანარჩენები აიძულა გაორკეცებული ენერგიით ებრძოლთ. და უკანასკნელ დღეებში ჩვენ გაღიმებულს ვხედავდით 40 წლის ვეტერან ანატოლი რუშჩინს, შემეინ ხისამუტდინოვს, რუსტემ კაზაკოვსა და ვალერი რუზანცევს.

გოლიათი ლენინგრადელი რუშჩინი მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა ტურნირის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე მოსკოველმა ხისამუტდინოვმა — კვირას დილით, ხოლო ალმაატელმა რუნაზეკვამ და ტაშკენტელმა კაზაკოვმა ოლიმპიადის უკანასკნელისწინა დღის მიწურულს გაიმარჯვეს.

კაზაკოვის „ბრძა საპატიო კვარცხლბეკისაკენ ყველაზე ძნელი იყო. იგი ფინალში 4,5 საჯარიმო ქულით მოხვდა, და ფრეკ კი უკარგიოდა წარმატების შანსს. ჩვეულებრივ მშვიდმა რუსტემმა ამ საღამოს ამოუნთქეს საშუალებაც კი არ მისცა მეტოქეებს...

სულ კი ჩვენმა ყველა „სპეციალისტის“ მოჭიდაოვეებმა ათი ოქროს ჯილდო მოუტანეს სსრ კავშირის გუნდს!

ვერა და ვერ დაეწივნენ ჩვენი მშვილდოსანი ქალები ასპარეზობის ლიდერს, მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორს ლრინე უილბერს (ამერიკის შეერთებული შტატები). მოსკოველმა ემა გაპრნდკომ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონაგზე აჯობა უილბერს, მიუნხენის ინგლისური პარკის სასროლეთში მესამე შედეგი უჩვენა. მხოლოდ ოთხი ქულა არ ყოფ მას „ვერცხლამდე“, რომელიც პოლონელმა ირენა შილდოფსკამ მოიპოვა.

ბრინჯაოს პრიზიორის თანაგუნდელები ქეთევან ლოსაბერიძე და ალა პეუნოვა ორმოც შვიდოლასის შორის, შესაბამისად, მეოთხე და მერვე ადგილებზე გამოვიდნენ.

ჩვენი მშვილდოსანი ვაჟების წარმატება უფრო მოკრძალებულია. მათგან საუკეთესო — ვიქტორ სიდორუკი მეშვიდე აღმოჩნდა, მიხეილ პეუნოვი — მეთორმეტე და მატი ვაიკიარი — ოცდამეოთხე სტარტზე გამოსული 55 მშვილდოსნიდან. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა ამერიკელმა ჯონ შილიპსმა.

ბალახის ჰოკეიში ოლიმპიელთა ტურნირის ფინალური ასპარეზობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მოუგო პაკისტანის გუნდს — 1:0. მატჩი მესამე ადგილისათვის ინდოეთის ნაკრებმა დაამარცხა ჰოლანდიელები ანგარიშით 2:1.

ფეხბურთელთა ტურნირის ფინალში პოლონელებმა სძლიეს უნგრელებს 2:1 და პირველად მოიპოვეს ჩემპიონობა.

სსრ კავშირის ხელბურთელებმა მატჩი მესუთე ადგილისათვის მოუგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს — 17:16 (10:9). ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდების ფინალური შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლავებმა — 21:16 (12:5).

დაშნით მოფარიკაჟეთა გუნდურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს უნგრელებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს შვეიცარიელებს — 8:4.

* * *

11 სექტემბრისათვის ოლიმპიადაზე გაუთამაშებელი რჩებოდა უკანასკნელი მედალი 195 ჯილდოს კომპლექტიდან. ორშაბათს დღისით ამ ჯილდოსათვის ეასპარეზეს ცხენოსნებმა დაბრკოლებათა გადალახვაში. საღამოს კი მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა ოლიმპიური ასპარეზობის დახურვის ცერემონია.

მორიგი ზაფხულის ოლიმპიადა მოიწყობა ოთხი წლის შემდეგ კანადის ქალაქ მონრეალში.

ბ. ბუხოვცევი, ვ. კუკუჯკინი, ა. ლევინსონი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი,

(საკადესის ხეც. კორ.).

მიუნხენი

ჩემპიონები



სურათზე: ოლიმპიური ფინალი კალათბურთში. ახე დაძაბულად მიმდინარეობდა მატჩი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. ამერიკელთა ფარს უტეხს ზურაბ საკანდელიძე, აქვე არიან ამერიკელები ე. რეტლიფი (№ 15), ტ. ჰენდერსონი, კ. ჯოისი და ბ. ბენტომი, თანაგუნდელის შეტევას დაზღვევაზე უდგას ალექსანდრე ბელოვი (მარცხნიდან მეოთხე).

(სურათი მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ვინ თავი ისახელა

ჩვენი ოლიმპიელები

დამთავრდა მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები... ფინიში ჰქონდა ოთხწლეული ყველაზე დიდ სტარტებს. საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხადყვეს, რომ კომუნიზმის მშენებელი დიადი ქვეყანა უძლიერესია სპორტულ საჭრბიელზეც — ჩვენმა ვეტერანებმა და ახალგაზრდობამ ყველაზე დიდი ოქროს მოსავალი მოიწიეს და რაოდენ სასიხარულოა, რომ საქართველოს წარგზავნილებმა თავიანთი თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ამ დიდ გამარჯვებაში. ექვსი ოლიმპიელი დაგვბრუნდა ოქროს მედლით მკერდდამშვენებული, ერთმა ვერცხლის მედალი დაიმახურა, ოთხმა — ბრინჯაოსი...

ყველაფერი კი იმ დღიდან დაიწყო, როცა 20 წლის წინათ პირველ საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში ჰელსინკის დარბაზებში და სტადიონზე გამოჩნდნენ საქართველოს სპორტსმენებიც.

XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ თვისუფალ ჭიდაობაში **დავით ციმაკურიძე**, ტანმოვარჯიშე **მზია ჯაფარიძე**, შტანგისტი **რაფიელ ჩიმოშკანი**, ვერცხლის მედლები ხვდათ კალათბურთელებს **ოთარ ქორქიაია** და **ნოდარ ჯორჯიკიას**, მძლეოსან **ლევან სანაძეს**, ბრინჯაოსი — მძლეოსნებს **ნინო დუმბაძესა** და **ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს**.

XVI თამაშები, **მელბურნი.** ჭიდაობის კლასიკურ სტილში ჩემპიონი ხდება **ბეჟან კარტოზია**, თავისუფალში — **შირაზან ცალკალამანიძე**, ბრინჯაოს მედლები ხვდათ **ვახტანგ გალაკვაძეს, ბეჟიგი ხხირტლაძეს** და **რომან ძნელაძეს.** ასევე პრიზიორია **ნადეჟდა დვალიშვილი**, საწყლოსნო აუზში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **წყალბურთელმა ნოდარ გვახარიამ** და **მცურავმა ბორის ნიკიფოროვმა.**

XVII თამაშები, **რომი.** პირველად ხაბჭოთა სპორტისა და თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიაში ამერიკელთა უძლეველობის მითს სამაღლეზე ხტომაში ამსხვრევს **რობერტ შავლაყაძე** — პირველი ადგილი, საჭიდაო ხალიჩაზე იმარჯვებს **ავთანდილ ქორიძე**; ვერცხლის მედლები მოიპოვეს **კალათბურთელებმა გურამ მინასოვილა** და **ვლადიმერ უბრეხლელიძემ**; მოჭიდავე **გიორგი ხხირტლაძემ**, წყალბურთელებმა **გივი ჩიქვანაიამ** და **ლერი გოგოლაძემ**, ბრინჯაოს კავალრები გახდნენ მოჭიდავეები **გივი კარტოზია, ვლადიმერ რუბაშვილი**, მოფარიკავე **გურამ კოსტავა.**

XVIII ოლიმპიადა, **ტოკიო.** პირველთა შორის არიან მოფარიკავე **ნუგზარ ასათიანი** და ფრენბურთელი **ვაჟა კაპარავა**; ვერცხლი ხვდათ მოჭიდავეებს **გურამ სალარაძეს** და **რომან რურუას**; კალათბურთელ **ლევან მოსაშვილს**, მსროლელ **შოთა ქველიაშვილს**; ბრინჯაო — მოჭიდავეებს **ნოდარ ხოსაშვილს, ანზორ კიკნაძეს, ფარნაოზ ჩიკვილაძეს, დავით გვანცელაძეს**, მოფარიკავე **გურამ კოსტავას.**

XIX ოლიმპიადა, **მეხიკო.** მსოფლიო რეკორდით სამმაგ ხტომაში იმარჯვებს სოხუმელი **ვიქტორ სანეევი**, კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონია **რომან რურუა**; კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე იდგნენ მოჭიდავე **შოთა ლომაძე** და შტანგისტი **დიმიტრი შანიძე**, მესამეზე — კალათბურთელები **ზურაბ საკანდელიძე** და **ხერგელი კოპალეიკო.**

და აი რესპუბლიკის ხახელოვან სპორტსმენთა ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებად მოგვევლინენ წლევანდელი მუნიციპალური ოლიმპიელები. — ძიუდოს სამშობლო იაპონია და მთელი სპორტული სამყარო აალაპარაკა გორელმა ჭაბუკმა—ამომავალი ზვიზ ქვეყნის ათლეტებთან დამარცხება ოლიმპიურ ტატამზე მანამდე ორი ჰოლანდიელი გოლიათის მეტმა ვერავინ შეძლო **შოთა ჩოჩიშვილის** გარდა, **ლევან თედიაშვილს** ტოლი არ ჰყავდა საჭიდაო ხალიჩაზე თავის წონაში, კვლავ ცხადყო თავისი უპირატესობა სამმაგ ხტომაში **აწ უკვე** ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვიქტორ სანეევმა**, უსწრაფესი იყო ფოთელი **ვიქტორ პრატასიუკის** ნიჩაბი, ოლიმპიური კალათბურთის ტრიუმფატორებს შორის არიან **ზურაბ საკანდელიძე** და **მიხეილ ძიორძია**; მეორე ვერცხლის მედალი ჩამოიტანა ოლიმპიური თამაშებიდან ვეტერანმა **შტანგისტმა დიმიტრი შანიძემ**, მსოფლიოს ჩემპიონის სახელს ოლიმპიური პრიზიორის წოდება **შემატა** ველოსიპედისტმა **ომარ ფხაკაძემ**; უმძიმეს ძიუდოისტთა შორის მესამეა **გურამ ონაშვილი**; ბრინჯაოს მედლის პრიზიორები გახდნენ ფეხბურთელები — სპბ**ჭოთა გუნდის თავკაცი მურთაზ ხურცილავა** და **რევაზ ძოძუაშვილი.** მთელი მონდომებით უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ ამ დიდ ასპარეზობაზე მცურავი **თინათინ ლეკვეიშვილი**, მეჭვლდოსანი **ქეთევან ლოსაბერიძე**, მოჭიდავეები **ზემალ მამბრელიშვილი** და **გურამ გოგოლაური**, ნიჩბოსნები **ოლეგ ქავსინიძე** და **გიორგი ნასიდაშვილი**, თანაგუნდელების ტრიუმფი გაიზიარა **ტანმოვარჯიშე ნინო დრონოვამ** (დასანანი ტრავმა რომ არა, ვინ იცის როგორ გაგვახარებდა იგი).

მართლაც რომ სახიხარულო ფინიშები ჰქონდათ ჩვენს ოლიმპიელებს. წინ კი კვლავ დიდი სტარტებია...

დაავადებამ რომ არ იმატოს

გასტროენტეროლოგთა საერთაშორისო კონგრესზე

გასტროენტეროლოგია არის მეცნიერება საჭმლის მომნელებელი ორგანოების ნორმისა და პათოლოგიის შესახებ. უკანასკნელ წლებში ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის, აგრეთვე აზიის ზოგიერთ ქვეყნებში (იაპონია) აღინიშნება საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებათა მატება. ასეთ დაავადებებს ეკუთვნის: კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, ენტერიტი, ენტეროკოლიტი, პანკრეატიტი და სხვ. აგრეთვე საყლაპავის, კუჭის, ღვიძლის და ნაწლავების ავთვისებიანი სიმსივნეები. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადებათა მატების ტენდენცია ჩვენშიც არის. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ უკანასკნელ წლებში მეცნიერ-მედიკოსთა ყურადღება გამახვილდა ამ დაავადებათა შესწავლისადმი.

1966 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა საკავშირო გასტროენტეროლოგიის ინსტიტუტი, შემდეგ ასეთი ინსტიტუტები შეიქმნა უკრაინასა და ტაჯიკეთში. აღნიშნული ინსტიტუტები ეწევიან მეტად სასარგებლო კვლევას და თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსახლეობის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საქმეში. მიმდინარე წლის ბოლოს მოსკოვში ეწყობა გასტროენტეროლოგთა პირველი ყრილობა. 1958 წლიდან ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება გასტროენტეროლოგთა მსოფლიო კონგრესი. ასევე ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება საერთაშორისო კონგრესებიც.

გასტროენტეროლოგია მედიცინის ერთ-ერთი რთული დარგია. ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრა მოითხოვს კომპლექსური კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებას. ბოლო წლებში გასტროენტეროლოგიაში ნახტომით კომპლექსურად მუშაობენ ფიზიოლოგები და ეპიდემიოლოგები, ქირურგები და თერაპევტები, ინფექციონისტები და პარაზიტოლოგები, ბაქტერიოლოგები და იმუნოლოგები, რენტგენო-რადიოლოგები და ენდოკრინოლოგები, კურორტოლოგები და ფიზიოთერაპევტები, ონკოლოგები და მორფოლოგები, სამეურნეო კვების სპეციალისტები და ბიოქიმიკოსები, მათემატიკოსები და ფიზიკოსები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობაში თავის მხრივ დაგროვილია აუარებელი უახლესი ინფორმაცია, რომლის გაცნობა წარმოუდგენელია, თუ ფართოდ არ იქნება გამოყენებული მსოფლიო, საერთაშორისო და საკავშირო კონგრესების მოწყობის პრაქტიკა. აგრეთვე, ირკვევა, რომ საჭიროა ენდოსკოპიური კვლევის კიდევ უფრო გაფართოება და მეთოდიკის გაუმჯობესება.

მიმდინარე წლის ზაფხულში პარიზში 10 დღეს მიმდინარეობდა გასტროენტეროლოგთა IX საერთაშორისო კონგრესი. განხილულ იქნა გასტროენტეროლოგიის აქტუალური საკითხები, რომლებიც შეეხებოდა კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებებს, გასტრიტებს, ჰეპატიტებს, ქოლეცისტიტებს, პანკრეატიტებს, ენტერიტებს, კოლიტებს, კუჭის, ღვიძლის, პანკრეასის, ნაწლავების ავთვისებიან სიმსივნეებს, მათი ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს.

კონგრესს წინ უძღოდა გასტროინტესტინალური (კუჭნაწლავთა) ენდოსკოპიის ევროპის II კონგრესი, რომელზეც განიხილეს საჭმლის მომნელებელი ორგანოების ვიზუალური და ბიოფიზიური გამოკვლევის უახლესი მეთოდები.

საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანეობდა გასტროენტეროლოგიის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვ. ვასილენკო. საქართველოდან მონაწილეობდა ამ სტრიქონების ავტორი.

ჩვენ ორი მოხსენება წარვადგინეთ — პირველი — ევროპის ენდოსკოპისტთა II კონგრესზე (იგი შეეხებოდა ქრონიკული კოლიტების დიაგნოსტიკის საკითხებს), ხოლო მეორე — IX საერთაშორისო კონგრესზე და შეეხებოდა დიზენტერიისა და ქრონიკული კოლიტების პათოგენეზის და პათოგენეზური მკურნალობის საკითხებს.

გარდა პლენარული და სექციური სხდომებისა, ეწყობოდა საუბრები მრგვალ მაგიდასთან, სადაც ხდებოდა აზრთა ურთიერთგაზიარება. კონგრესზე დაისახა მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხი, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ გადაწყვეტას. კონგრესის დასასრულს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, გამოჩენილმა ფრანგმა გასტროენტეროლოგმა ჯაროლიმ გამოთქვა რწმენა, რომ კონგრესის მუშაობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გასტროენტეროლოგიური მეცნიერების შემდგომ განვითარებას და მისი მონაცემების ფართოდ დანერგვას სამედიცინო პრაქტიკაში.

კონგრესის მონაწილეები გაეცნენ გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო უახლესი გასტროენტეროლოგიური ტექნიკა და სამკურნალწამლო საშუალებები, აგრეთვე პარიზის წამყვანი გასტროენტეროლოგიურ კლინიკებსა და ლაბორატორიებს.

გ. მატაბელი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.





სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნურ ათჭიდში ოდესელი **ნიკოლოზ ავილოვი** (შუაში), ვერცხლის პრიზიორი **ლ. ლიტვინენკო** (მარცხნივ) და მესამე ადგილზე გასული პოლონელი **რ. პატუსი**; მარჯვნივ — **შაინა მელნიკი**; ქვემოთ მარცხნივ — საბჭოთა რაპირისტი ქალების გუნდი (მარცხნიდან მარჯვნივ) **ალექსანდრა ზაბელინა, ტატიანა სამუსენკო, გალინა გორეოხოვა** და **ელენე ბელოვა-ნოვიკოვა**; მარჯვნივ **იური ტარმაკი.**

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ვაკე)

13 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას თასის გათამაშება

„ტვენტე-65“ (ნიდერლანდი) — „დინამო“ (თბილისი)

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

თბილისის შრომის ყითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს დამატებით მიღებას ასპირანტურაში (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 179, 2. 08. 1972) შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით: ეროვნული ისტორია; ლიტერატურის თეორია.

საბუთები მიიღება ა. წ. 25 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები (სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და უცხო ენაში) დაიწყება 5 ოქტომბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი — 28, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

ტელევიზია

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (მეზუთეკლასელთათვის. რიცხობრივი წრე), 10.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. (სტუდიაში პროფ. ე. წითლანაძე), 12.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (მეხუთეკლასელთათვის, რიცხობრივი წრე. განმეორებით), 12.30 — „კინოპროგრამა, 12.55 — „მეცნიერება დღეს“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.25 — გიწვევთ საკონცერტო სტუდია ოსტანკინოში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი“, 18.40 — სპორტული კვირეული, 19.00 — „სამართლის ციდნა მასპეს“, 19.10 — ბავშვებისათვის — ტელესტუდია „ორლიონოკის“ ნორჩი კორესპონდენტების შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან აკადემიკოს ე. კ. ფედოროროვთან (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.05 — „ბიოფიზიკოსთა მსოფლიო კონგრესზე“, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბლობუსი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. პრემიერა სატელევიზიო მუსიკალური ფილმისა — „ოერო“ მასპინძლობს“.

13 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად: გეოგრაფია (მერვეკლასელთათვის. „საბჭოთა კავშირის მოსახლეობა და შრომითი რესურსები“), 11.25 — მხატვრული ფილმი — „როდესაც ქვა ქვას ეხლება“, 13.00 — სკოლების დასახმარებლად: გეოგრაფია (მერვეკლასელთათვის. „საბჭოთა კავშირის მოსახლეობა და შრომითი რესურსები“. გამეორებით), 17.05 — მოსწავლეთა დასახმარებლად: მათემატიკა („სიმრავლის ცნება“. ფაკულტეტური მეცადინეობა მეცხრეკლასელთათვის), 17.45 — კინოფურნალი „არქიტექტურა და მშენებლობა“, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — მოსწავლეთათვის. „ბავშვებს — ეხოველთა შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო ფილმი „სიუჟეტი ყვავილებთან“, 19.00 — „ფეხბურთი „შეშას“ თასზე: „დინამო“ (თბილისი) — „ტვენტე“ (ნიდერლანდი), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 21.30 — „ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ადო“ (პოლანდია) შეხვედრის მეორე ნახევარი (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პრგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეგვიპტის რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის, საელჩოს საკონსულო განყოფილების გამგე

თენგიზ გიორგის-ძე ზუმბაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02654

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამ